



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-87.87213511

თარიღი:17/12/2021

დადგენილება N15

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №17 დადგენილებაში (www.matsne.ge25/12/2020.190020020.35.162.016535) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



თავი I

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი სახით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი		2020 წლის ფაქტი		2021 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	17,810.10	17,228.40	10,975.30	6,253.10	18,370.44	11,756.50	6,613.94
გადასახადები	8,814.90	9,258.20	9,258.20	-	10,990.30	10,990.30	-
გრანტები	8,179.60	7,203.10	950.00	6,253.10	6,763.94	150.00	6,613.94
სხვა შემოსავლები	815.60	767.10	767.10	-	616.20	616.20	-
II. ხარჯები	8,567.83	8,826.47	8,729.47	97.00	11,059.97	10,688.70	371.27
შრომის ანაზღაურება	1,779.11	1,816.28	1,816.28	-	1,952.50	1,952.50	-
საკონელი და მომსახურება	1,050.07	950.85	853.85	97.00	1,546.95	1,447.00	99.95
პროცენტი	209.20	122.29	122.29	-	111.90	111.90	-
სუბსიდიები	5,054.70	5,327.76	5,327.76	-	6,555.70	6,555.70	-
გრანტები	52.00	8.92	8.92	-	29.50	29.50	-
სოციალური უზრუნველყოფა	329.80	400.50	400.50	-	486.90	486.90	-
სხვა ხარჯები	92.95	199.87	199.87	-	376.53	105.20	271.33

III. საოპერაციო სალდო	9,242.27	8,401.93	2,245.83	6,156.10	7,310.47	1,067.80	6,242.67
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,159.11	7,687.47	1,425.35	6,262.12	9,420.26	2,291.10	7,129.16
ზრდა	10,241.01	7,726.47	1,464.35	6,262.12	9,570.26	2,441.10	7,129.16
კლება	81.90	39.00	39.00		150.00	150.00	-
V. მთლიანი სალდო	916.84	714.46	820.48	106.02	2,109.80	1,223.30	886.50
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	1,014.34	571.98	678.00	106.02	2,260.80	1,374.30	886.50
კლება	1,014.34	571.98	678.00	106.02	2,260.80	1,374.30	886.50
ვალუტა და დეპოზიტები	1,014.34	571.98	678.00	106.02	2,260.80	1,374.30	886.50
VII. ვალდებულებების ცვლილება	97.50	142.48	142.48	-	151.00	151.00	-
კლება	97.50	142.48	142.48	-	151.00	151.00	-
საშინაო	97.50	142.48	142.48	-	151.00	151.00	-
სესხები	97.50	142.48	142.48	-	151.00	151.00	-
VIII. ბალანსი	-	0.00	-	-	0.00	0.00	0.00

მუხლი 2. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2019 წლის ფაქტი		2020 წლის ფაქტი		2021 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	17,892.00	17,267.40	11,014.30	6,253.10	18,520.4	11,906.5	6,613.9
შემოსავლები	17,810.10	17,228.40	10,975.30	6,253.10	18,370.4	11,756.5	6,613.9
არაფინანსური აქტივების კლება	81.90	39.00	39.00	-	150.0	150.0	-
გადასახდელები	18,906.34	16,695.42	10,336.30	6,359.12	20,781.2	13,280.8	7,500.4

ხარჯები	8,567.83	8,826.47	8,729.47	97.00	11,060.0	10,688.7	371.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,241.01	7,726.47	1,464.35	6,262.12	9,570.3	2,441.1	7,129.2
ვალდებულებების კლება	97.50	142.48	142.48	-	151.0	151.0	-
ნაშთის ცვლილება	-	571.98	678.00	106.02	-	1,374.3	-
	1,014.34				2,260.8		886.5

მუხლი 3. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 18370.4 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2019 წლის ფაქტი		2020 წლის ფაქტი		2021 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	17,810.10	17,228.40	10,975.30	6,253.10	18,370.4	11,756.5	6,613.9
გადასახადები	8,814.90	9,258.20	9,258.20	-	10,990.3	10,990.3	-
გრანტები	8,179.60	7,203.10	950.00	6,253.10	6,763.9	150.0	6,613.9
სხვა შემოსავლები	815.60	767.10	767.10	-	616.2	616.2	-

მუხლი 4. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 10990,3 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	8,814.9	8,826.8	8,826.8	-	10,990.3	10,990.3	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	6,967.9	7,026.8	7,026.8	-	9,590.3	9,590.3	-
ქონების გადასახადი	1,847.0	1,800.0	1,800.0	-	1,400.0	1,400.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,288.6	1,290.0	1,290.0	-	1,090.0	1,090.0	-

ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-	-	-	-	-	-
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	10.5	474.0	474.0	-	-	-	-
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	463.0	36.0	36.0	-	274.0	274.0	-

მუხლი 5. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6763.9 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
გრანტები	8,179.60	7,203.10	6,763.9
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	8,179.60	7,203.10	6,763.9
გათანაბრებითი ტრანსფერი	-	800.00	-
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	295.50	261.00	232.7
კაპიტალური ტრანსფერი	7,884.10	6,142.10	6,531.2

მუხლი 6. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 616,2 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	815.60	767.10	616.20
შემოსავლები საკუთრებიდან	409.70	500.50	380.20
პროცენტები	39.20	98.50	70.00
რენტა	370.50	402.00	310.20
მშ. ბუნებრივ რესურს მოსაკრ.	275.60	-	250.20
მიწის იჯარა	94.90	-	60.00
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	95.00	96.80	76.00
1. ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	56.70	56.70	36.00
- სანებართვო მოსაკრებელი	27.10	21.30	16.00
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	27.90	32.10	20.00
2. არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	38.30	40.10	40.00

სანქციები (ჯარიმები და საურავები)	178.10	114.20	160.00
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	132.80	55.60	-

მუხლი 7. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 11060.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი		2020 წლის ფაქტი		2021 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		საკუთარი შემოსავლები	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	8,567.8	8,826.5	8,729.5	97.0	11,060.0	10,688.7	371.3
შრომის ანაზღაურება	1,779.1	1,816.3	1,816.3	-	1,952.5	1,952.5	-
საქონელი და მომსახურება	1,050.1	950.9	853.9	97.0	1,546.9	1,447.0	99.9
პროცენტები	209.2	122.3	122.3	-	111.9	111.9	-
გრანტები	52.0	8.9	8.9	-	29.5	29.5	-
სუბსიდიები	5,054.7	5,327.8	5,327.8	-	6,555.7	6,555.7	-
სოციალური უზრუნველყოფა	329.8	400.5	400.5	-	486.9	486.9	-
სხვა ხარჯები	93.0	199.9	199.9	-	376.5	105.2	271.3

მუხლი 8. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 8900.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვროს **9050.4** ათასი ლარის ოდენობით, შემდეგი სახით:

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	91.4	50.4	136.7
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	91.4	50.4	136.7
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7,106.3	4,524.2	5,462.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,904.6	3,673.5	3,226.4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	347.7	157.6	1,064.2
02 03	გარე განათება	153.4	19.4	18.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-	-	258.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	-	-	59.6
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	700.6	668.4	915.9
02 07	ტურიზმი	-	5.2	178.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,441.7	608.0	649.1
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	6.3	5.1	26.5
03 02	გარემოს დაცვა	7.9	23.1	27.8
03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	1,427.5	579.9	460.8
03 04	დასუფთავების ღონისძიებები	-	-	134.0
04 00	განათლება	1,349.1	1,702.2	1,104.8
04 01	სკოლამდელი დაწესებულებები	897.3	1,444.9	930.1
04 02	ზოგადი განათლება	451.8	257.3	174.7
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	34.8	589.8	1,569.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	16.3	6.9	166.1
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	18.5	581.6	1,401.9
05 04	საინფორმაციო ცენტრი	-	1.4	1.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	217.7	251.9	128.7
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	217.5	251.9	113.7
06 02	სოციალური დაცვა	0.2	-	15.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	10,241.0	7,726.5	9,050.4

ბ) არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვროს 150,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	81.9	5.0	150.0
ძირითადი აქტივები	15.8	-	
არაწარმოებული აქტივები	66.1	5.0	150.0

მიწა	66.1	5.0	150.0
------	------	-----	-------

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,670.9	2,622.4	3,218.5
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,358.9	2,354.5	2,949.4
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,358.9	2,354.5	2,734.9
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	-	214.5
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	306.7	264.8	262.9
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	5.3	3.1	6.2
7.2	თავდაცვა	97.7	107.9	113.2
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	97.7	107.9	113.2
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	6,661.3	4,352.2	4,356.8
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	704.7	668.4	915.9
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა	704.7	668.4	915.9
7.4.5	ტრანსპორტი	5,904.6	3,673.5	3,233.4
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,904.6	3,673.5	3,233.4
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	52.0	10.2	207.5
7.5	გარემოს დაცვა	2,298.7	1,623.0	1,899.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	517.1	602.1	867.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	3.0	15.0	58.8
7.5.3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	1,778.6	1,005.9	973.2
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	1,169.6	874.0	2,894.3
7.6.1	ბინათმშენებლობა	-	-	258.0
7.6.3	წყალმომარაგება	691.0	538.3	1,581.0
7.6.4	გარე განათება	478.6	335.7	475.7

7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	-	-	579.5
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	293.6	325.4	205.0
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	293.6	325.4	205.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,654.9	2082,0	3326,7
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	701.0	624.1	950.6
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	899.4	1403,3	2316,7
7.8 3	ტელე-რადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	54.5	54.5	59.4
7.9	განათლება	3,349.0	3,739.5	3,773.9
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2,739.9	3,385.2	3,499.2
7.9 2	ზოგადი განათლება	609.1	354.3	274.7
7 10	სოციალური დაცვა	731.1	968.9	994.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	94.6	167.0	143.8
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	636.5	802.0	850.2
	სულ	18,926.8	16695,2	20781,2

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო და საოპერაციო სალდო

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	9,242.27	8,401.93	7,310.5
მთლიანი სალდო	- 916.84	714.46	- 2,109.8

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1,014.34	571.98	- 2,260.8
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	1,014.34	- 571.98	2,260.8

ვალუტა და დეპოზიტი	1,014.34	-	571.98	2,260.8
--------------------	----------	---	--------	----------------

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -151,0 ათასი ლარის ოდენობით.

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 151,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
ვალდებულებების კლება	- 97.5	143.0	151.0
საშინაო	97.5	143.0	151.0
სესხები	97.5	143.0	151.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	97.5	0.0	0.0

თავი II

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები და ქვეპროგრამები 2021-2024 წლებისათვის

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- საინვესტიციო გარემოსა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- სკოლამდელი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის ამაღლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების განმტკიცება.

1. ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7,251.01
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3,233.36
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,581.04
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	1,004.24
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	173.80
02 02 03	ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი	403.00
02 03	გარე განათება	475.70
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	310.00
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	15.00
02 03 03	ა(ა) იპ კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური-გარე განათების მოვლა-პატრონობა	58.10
02 03 04	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	92.60
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	258.03
02 04 01	ბინათმშენებლობა	258.03
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	579.49
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	579.49
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	915.90
02 07	ტურიზმი	207.50
02 07 01	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	178.00
02 07 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	29.50

ა. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. ასევე განხორციელდება დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოპირკეთება ასფალტ-ბეტონის საფარით. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით გზების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილია 2024.7 ათ. ლარი. აქედან:

- ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე არსებული მოედნის რეკონსტრუქცია - 114,4 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე ბორდიურებისა და ტროტუარების მოწყობა - 304,0 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ფიროსმანის II ქუჩის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 105.3 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში გაგარინის ქუჩის გზის I მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 98.1 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში გაგარინის ქუჩის გზის II მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 47.5 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ფალიაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 98.3 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ნინოშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 100,0 ათ. ლარი
- სოფელ ქვემო ალვანში შიდა საუბნო გზის (გზა I I I) სარეაბილიტაციო სამუშაოები - 83,0 ათ. ლარი
- სოფელ ზემო ალვანში შიდა საუბნო გზის (გზა I) სარეაბილიტაციო სამუშაოები - 100,0 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ტაბიძის I ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები - 99.5 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში თამარის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 139.2 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ჭავჭავაძის ქუჩის I I ჩიხის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 114.2 ათ. ლარი
- სოფელ დუისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 203.5 ათ. ლარი
- სოფელ საკობიანოს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 171,6 ათ. ლარი
- სოფელ ჯოყოლოში ხიდთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 100,0 ათ. ლარი
- სოფელ კოლოთოში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 145.9 ათ. ლარი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება და ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ბ. წყლის სისტემების განვითარება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია, აგრეთვე არსებული სისტემის მოვლა-შენახვა. განხორციელდება სოფლების ჭაბურღილების ენერგო სისტემების მოწყობა და რეგიონალური პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების თანადაფინანსება. ასევე დაფინანსებული იქნება ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერჯის გადასახადი. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით წყლის სისტემების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილია 490.0 ათ. ლარი. აქედან:

- სოფ. ახალშენის ჭაბურღილისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა - 42.3 ათ. ლარი
- სოფ. ოდლისის ჭაბურღილისა და პოლიეთილენის ორ შრიოანი 10 მ³ რეზერვუარის მოწყობა - 57.7 ათ. ლარი
- სოფ. ფიჩხოვანში ჭაბურღილისა და სამარაგო ლითონის 25 მ³ რეზერვუარის მოწყობა - 70,5 ათ. ლარი
- სოფ. წინუბანის ჭაბურღილისა და სამარაგო ლითონის 25 მ³ რეზერვუარის მოწყობა - 70.0 ათ. ლარი
- სოფ. ალავერდის ჭაბურღილისა და 25 მ³ სამარაგო რეზერვუარის მოწყობა - 91,9 ათ. ლარი
- სოფ. აწყურის ჭაბურღილისა და 25 მ³ სამარაგო რეზერვუარის მოწყობა - 71,9 ათ. ლარი

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 აპრილის №589 განკარგულებით ფინანსდება სოფ. ომალოს (პანკისი) წყალსადენის სათავე ნაგებობისა და ქსელის რეაბილიტაცია - 400,0 ათ. ლარით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

გ. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქალაქისა და სოფლების ქუჩების ახალი ქსელების მოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერჯის საფასურის გადახდა. გარე განათების მოვლა-პატრონობას 2021 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყოფდა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური, აღნიშნული აიპის გაყოფის შედეგად გარე განათების მოვლა-პატრონობას 2021 წლის 1 ივლისიდან გააგრძელებს ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური“.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- განათებული ტერიტორია.

დ. კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარემოს დაცვა, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქში არსებული სასაფლაოების მოვლა-დასუფთავება. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მოვლა-პატრონობა; მდინარეების კალაპოტის რეგულირება, სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,906.90
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	733.00
03 02	გარემოს დაცვა	525.00
03 02 01	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	317.00
03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი	208.00
03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	514.90
03 03 01	სანიაღვრე არხების მოწყობა	58.80
03 03 02	ხეების გაწმენდა ნატანისგან	54.10
03 03 03	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	292.00
03 03 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	110.00
03 04	დასუფთავების ღონისძიებები	134.00

ა. დასუფთავება და ნარჩენების გატანა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. დაიგეგმა ქალაქის ქუჩები, სკვერები.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ტერიტორიის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის ზრდა.

ბ. თუშეთის დაცული ლანდშაფტი

ახმეტის მუნიციპალიტეტი ქვეყანაში ერთადერთი მუნიციპალიტეტია, რომელიც მართავს დაცულ ტერიტორიას, კერძოდ თუშეთის დაცულ ლანდშაფტის - 32000 ჰა ტერიტორიას, აქედან 5029 ჰას შეადგენს ტყე, რომელსაც ასევე მართავს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, რაც ასევე არის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პრევენდენტი, ტყის მუნიციპალური მმართველობისა. თუშეთის, თავისი მასშტაბით მუნიციპალიტეტის ამ უდიდესი სივრცის სამართავად არის შექმნილი ა(ა)იპ. „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“, რომლის მენეჯმენტ-გეგმაც დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით და მასში განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები: თუშეთის ისტორიული დასახლებების ტრადიციული იერსახის შენარჩუნება, დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე სივრცითი დაგეგმარების სისტემის შემუშავება, ადგილობრივი მოსახლეობისათვის საშემე და სამასალე მერქნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ტყის მავნებლების გამრავლებისა და ხანძრების თავიდან აცილების ეფექტური სისტემების შემუშავება, ტრადიციული სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის განვითარების პოტენციალის შესწავლა, თუშეთში მუდმივმაცხოვრებელი მოსახლეობის მოტივირება, სამოვრების მდგრადი მართვის სისტემის შექმნა, ძირითადი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, თუშეთის ენდემური მცენარეული კულტურებისა და ცხოველთა ჯიშების დაცვის სტრატეგიის შემუშავება, დაცულ ლანდშაფტში გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების სტაბილური რაოდენობის უზრუნველყოფა. ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ამოცანათა გადასაჭრელად ადმინისტრაციის საბაზისო ბიუჯეტი საკმარისი არ არის, საჭირო ღონისძიებათა უდიდესი ნაწილი ფინანსდება საერთაშორისო ფონდებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ, აღნიშნულ პროექტებში ახმეტის მერიის კონტრიბუცია შეადგენს, მხოლოდ საჭირო თანხის 5-10 %-ს. რადგანაც ახმეტის მერიის ბიუჯეტის სიმწირე, ხშირად არ იძლევა კონტრიბუციის დაფინანსების საშუალებას, ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ სტრატეგიას წარმოადგენს საკუთარი სახსრების მოზიდვა მისი წესდებით ნებადართული საქმიანობით: სატყეო მომსახურება, ეროვნულ პარკში შესასვლელი ნებაყოფლობითი გადასახადის დაწესება და ა.შ. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სარგებელი, რომელსაც ახმეტის მუნიციპალიტეტს და მის მოსახლეობას მოუტანს ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ გამართული მუშაობა, არ გამოიხატება ციფრობრივ-რაოდენობრივი ინდიკატორებით, არამედ უნდა შეფასდეს ხარისხობრივი - გარემოსდაცვითი ინდიკატორებით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- თვითმყოფადი ისტორიულ- კულტურული გარემოს შენარჩუნება;
- ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა;
- მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.

გ. ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი

ორგანიზაცია ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა („წყაროების“, „ბახტიონის“, „შვეიცარიის“, „ხორხლის“) და სასაფლაოებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა და დასუფთავებას, გამწვანებას, ამორტიზირებული ხეების მოჭრას, უპატრონო მიცვალებულებისათვის გამოყოფილი ადგილის დასუფთავებას. ხდება ტყე-პარკი „წყაროების“ ტერიტორიის შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა, რეგულარული დაგვა-დასუფთავება და გამწვანება. ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების სხვადასხვა სახის დახმარება, (სახურავის შერემონტება, შეშით დახმარება). ხდება ტყე პარკ „წყაროების“

წელიწადში 3-4 ჯერ გათიხვა, გაწმენდა ეკალ-ბარდისგან, სეზონზე ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავება მთელ ტერიტორიაზე. ტყე-პარკ „ბახტრიონის“ გაწმენდა ბალახისა და ჯაგნარისაგან გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე. შედარებით ნაკლები სამუშაოების ჩატარება ხდება ტყე-პარკ „შვეიცარიასა“ და ტყე-პარკ „ხორხელში“. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ახმეტის 3 და 1 საბეროს სასაფლაოების ყოველ გაზაფხულზე, შუა ზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე გათიხვა, გაწმენდა ეკალ-ბარდისგან.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მუნიციპალიტეტში არსებული ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია
 გათვალისწინებულია მდინარეების კალაპოტის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება და სოფლების სარწყავი ქსელების მოწყობის, რეაბილიტაციის ხარჯები.

სანიაღვრე არხების მოწყობა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყობა სანიაღვრე არხები.

სპეც. ტექნიკის და ინვენტარის შეძენა

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეძენის, ტრაქტორის კაპიტალური შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯები.

3. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
04 00	განათლება	3,773.86
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,719.10
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა(საბავშვო ბაღების არაფინანსური მერიაში)	780.10
04 02	ზოგადი განათლება	274.66

ა. სკოლამდელი განათლება

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 36 საბავშვო ბაღი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს არსებული მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ახალი ბაღების მშენებლობას, ასევე ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების მეთვალყურეობა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის განსაზღვრა, შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა. ბავშვთა სრულფასოვანი კვების ორგანიზება.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით ბაღების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილია 559.0 ათ. ლარი. აქედან:

- სოფ. ახშნის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 300.1 ათ. ლარი
- სოფ. კასრისწყლის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 259.9 ათ. ლარი

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივნისის №1091 განკარგულებით ახმეტის მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება გამოიყენოს წინა წლების განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ეკონომია 41,0 ათ. ლარი რომელიც მოხმარდება ახმეტის მუნიციპალიტეტის 24 საბავშვო ბაღში დამიწების კონტურების სისტემების მოწყობის სამუშაოებს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- გაუმჯობესებული სააღმზრდელო პირობები;
- ფიზიკურად ჯანმრთელი, სრულყოფილი, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული მომავალი თაობის აღზრდა;
- 36 საბავშვო ბაღი მოემსახურება 1500-მდე ბავშვს.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომავალი თაობის მზადყოფნა სკოლაში შესასვლელად;
- მოსწავლეთა და მშობელთა კმაყოფილების დონის ზრდა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა

ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული მონაცემების გამოვლინება. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ბიბლიოთეკების, მუზეუმების, ხელოვნების სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3,318.76
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	950.60
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	805.50
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა	417.10
05 01 01 02	ძიუდოს განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლა	210.50
05 01 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“	177.90
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	16.00
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	129.10
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,268.86
05 02 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა ა(ა)იპ კულტურის ცენტრი	488.60
05 02 01 02	ა(ა)იპ სამუსიკო სკოლების გაერთიანება	165.50
05 02 01 03	ა(ა)იპ მამიაურის სახელობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა	220.90
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	1,393.86
05 02 03 02	კლუბები	1,393.86
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	40.00
05 04	საინფორმაციო ცენტრი	59.40

ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. გათვალისწინებულია სტადიონების და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2021 წლის განმავლობაში დაფინანსდება სამი სპორტული სკოლა, ესენია:

- ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სპორტული დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“;
- ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის „კომპლექსური სასპორტო სკოლა“;
- ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება - ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლა.

სკოლებში ფუნქციონირებს ძიუდოს, თავისუფალი, ბერძნულ-რომაულის, მკლავჭიდის, ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ჩოგბურთის, კინზოქსის, რაგბის სექციები და აღნიშნულ სექციებში ჩართულია 700-მდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

2015 წლიდან უსასყიდლოდ, ხოლო 2019 წლიდან მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ფუნქციონირებდა ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის „კომპლექსური სასპორტო სკოლასთან საცხენოსნო კლუბი, რომელიც დღესაც აგრძელებს ფუნქციონირებას. აღნიშნულ საცხენოსნო ბაზაზე ვარჯიშობს 35-40 ბავშვი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება მწვრთნელებისა და სხვა დამხმარე პერსონალთა ხელფასები, ხოლო ცხენების კვებას უზრუნველყოფს მეპატრონე, რომელმაც თხოვების ფორმით გადმოსცა მუნიციპალიტეტს ცხენები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სპორტული ღონისძიებებისა და სრულყოფილი სასპორტო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა;
- მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- ბავშვებისა და მოზარდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმვა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივ და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობის ზრდა;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექტორში ჩართული ახალგაზრდობის რაოდენობის ზრდა.

ბ. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის კულტურული აღზრდა და მათი ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურის სფეროში წარმატებების მიღწევა.

გ. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ადმინისტრაციის ხარჯები
მოხდება ადმინისტრაციის შესანახი ხარჯებისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების დაფინანსება კერძოდ, დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 8 ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია 133688 ცალი წიგნი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაზე.

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის სახლები (ქ.ახმეტის, ქისტაურის, ოჟიოს, ქვ.ალვანის, ზ.ალვანის, მატნის, საკობიანოს, დუისის, ჯოყოლოს, ომალოს). ქვეპროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი მუზეუმი:

1. რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი;
2. ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
3. პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი.

აღნიშნული მუზეუმებისათვის სისტემატიურად ხდება სამუზეუმო ექსპონატების მოძიება-მატება, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ქრონოლოგიური პერიოდულობით დალაგება და კლასიფიკაცია.

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ისტორიული ეპოქის 400-ზე მეტი ისტორიული ძეგლის მოვლა-პატრონობის ხარჯები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული წიგნის ფონდის შენარჩუნება და განახლება;
- მკითხველისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- მოსახლეობის კულტურული აღზრდა და მათი ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- მკითხველთა რაოდენობის ზრდა;
- კულტურის სფეროში წარმატებების მიღწევა.

დ. სახელოვნებო და მუსიკალური სკოლები.(პროგრამული კოდი 05 02 07)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში შემოქმედებითი აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას. ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი სახელოვნებო სკოლა ესენია:

- ა(ა)იპ „სამუსიკო სკოლების გაერთიანება“, რომელსაც აქვს ფილიალები სოფლებში: მატანი, დუისი, ზ. ალვანი, ქვ. ალვანი, სადაც ირიცხება 250-მდე მოსწავლე. სამუსიკო სკოლის მიზანია ეზიარონ ახალგაზრდები მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს, მოხდეს მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, ასევე მოხდეს მუსიკალური ხელოვნების სფეროში

ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და შენარჩუნების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ასევე ხელი შეეწყობა ქართული ფოლკლორისა და ქართული სიმღერების შესწავლას. დაფინანსდება სამუსიკო სკოლების გაერთიანებასთან არსებული ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ჯვარი ვაზისა“.

- ა(ა)იპ „ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა“, რომელიც ემსახურება მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას.

სკოლა ასევე უზრუნველყოფს მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავებას, სკოლაში არის სახელოვნებო წრეები, როგორცაა ხატვის, ჭადრაკის, ცეკვის, თიხის და გამოყენებითი ხელოვნების. სკოლაში ირიცხება 300-მდე ბავშვი. პროგრამაში გათვალისწინებულია უნარშეზღუდული ბავშვების ჩართვა, რაც უზრუნველყოფს მათ მომავალი პროფესიული ცოდნით, რადგან ისინი გარდა ფსიქოლოგიური განტვირთვისა შეისწავლიან რომელიმე პროფესიას, როგორცაა კერვა, ქარგვა, თექის დამზადება, თიხის დამუშავება და ა.შ. რაც მათი შემდგომი დამოუკიდებელი არსებობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ამავე პროგრამაში შესაძლებელია ჩართული იყვნენ დიასახლისები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ დახმარებას და არც საპენსიო ასაკი აქვთ. აქ ისინი განერიდებიან მძიმე სოციალურ პრობლემებს და ასევე შეიძენენ განათლებას, რომელიც შეიძლება მათი შემოსავლის წყარო გახდეს.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სპორტული სექცია, როგორცაა „კრივი“, სადაც მომზადდება გადის 35 ბავშვი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ნიჭიერი შემოქმედების აღმოჩენა-წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა;
- გაუმჯობესდება ოჯახების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა;
- მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავება და მეორადი პროფესიის შეძენა.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული სახელოვნებო კონცერტების, გამოფენების, ადგილობრივი ღონისძიებების რაოდენობა;
- ხელოვანთა მიღწევები სხვადასხვა ასპარეზოზე და დადებითი გამოხმაურება მედიაში.

ე. კლუბები

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით გამოყოფილი 1305,0 ათ. ლარით ფინანსდება ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. მატანის კულტურის სახლის რეაბილიტაცია.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელსა (CENN) და ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს

(akhmeta LAG) შორის გაფორმებულია ურთიერთგაგების მემორანდუმი, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ არგოხში არსებული კულტურის სახლის წყლის სისტემების რეაბილიტაციისთვის (პროექტის ღირებულება შეადგენს 32,8 ათ. ლარს).

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს ფინანსური თანამონაწილეობით (8,0 ათ. ლარი) არგოხის კულტურის სახლის წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები.
